ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**ბ38. 382504311**

თარიღი:**12/02/2025**

„პროფესიული სწავლება დასაქმების ხელშეწყობისთვის“ ქვეპროგრამის პრიორიტეტული პროგრამების განსაზღვრისა და განცხადებით მიმართვის პირობების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ” ქალაქ რუსთავის საკრებულოს 2014 წლის 08 აგვისტოს №9 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ე.ვ“ ქვეპუნქტის, „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „პროფესიული სწავლება დასაქმების ხელშეწყობისათვის“ (პროგრამული კოდი: 04 07) განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის №101 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი N1-ის მესამე მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „პროფესიული სწავლება დასაქმების ხელშეწყობისთვის“ (კოდი 04 07) ქვეპროგრამის ფარგლებში განისაზღვროს მიმდინარე წლის პრიორიტეტული პროფესიული პროგრამებისა და მომზადება/ გადამზადების პროგრამების ჩამონათვალი:

- მებაღეობა;
- აღმზრდელი;
- ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი;
- სააღმზრდელო პროცესების წარმართვა სკოლამდელ დაწესებულებაში;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების ბავშვებთან მუშაობა;

2.„პროფესიული სწავლება დასაქმების ხელშეწყობისთვის“ (კოდი 04 07) ქვეპროგრამაში ჩართვის მსურველმა პირემბა განცხადებით მომართონ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიას და წარმოადგინონ დანართი N1-ით განსაზღვრული დოკუმენტაცია (მის: ქ. რუსთავი, მეგობრობის გამზ. N20ბ მერიის მუნიციპალური სერვისების ცენტრში ან შემდეგ ელ. მისამართზე: rustavi.municipality@rustavi.gov.ge).

3.ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. რუსთავი, ბოსტან-ქალაქის ქ. №6), საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ნინო ლაცაბიძე

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დანართი №1

ქვეპროგრამით სარგებლობის მსურველი პირი განცხადებით მიმართავს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერს და წარადგენს შემდეგ დოკუმენტაციას:

ა) განმცხადებლის/ქვეპროგრამაში ჩართვის მსურველის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ასლი;

ბ) ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი -საინფორმაციო ბარათი (საჭიროების შემთხვევაში);

გ) საბანკო ანგარიშის ნომერი, გაცემული შესაბამისი ბანკის მიერ, კანონით დადგენილი წესით;

დ) სხვა დამატებითი დოკუმენტაცია, რაც ობიექტურად საჭირო გახდება წარმოებისას, გადაწყვეტილების მიღების მიზნით.